



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

# სამართლის ჟურნალი

№2, 2021



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საკანონმდებლო რეგლამენტაცია და პრაქტიკულსამართლებრივი ასპექტები

ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ პრობლემურ და აქტუალურ საკითხს. თავისუფლების პრეზუმფცია განეკუთვნება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა კატეგორიას, რომელიც აღიარებული და დაცულია მოქმედი ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობით. სისხლის სამართალწარმოების დროს ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში. დაკავება, დაპატიმრება არის იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიება, რომელიც ნებადართულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართლით და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით.

ნაშრომი დაფუძნებულია დოქტრინისა და საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე. მასში აღწერილი და განხილულია არასანქცირებული დაკავების ძირითადი ასპექტები და თანამედროვე გამოწვევები.

კვლევის მიზანია სასამართლოს ნებართვის გარეშე პირის დაკავებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკის ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრა.

**საკვანძო სიტყვები:** დაკავება, არასანქცირებული დაკავება, სანქცირებული დაკავება, მოსამართლის განჩინება, გადაუდებელი აუცილებლობა, დაკავების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები.

### 1. შესავალი

საპროცესოსამართლებრივი იძულების ღონისძიებად სამართლებრივ დოქტრინაში მოიაზრება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის მონაწილეების მხრიდან მათი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციას გამოძიების,<sup>1</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის სტადიებზე.<sup>2</sup>

დაკავება სწორედ რომ საპროცესო იძულების სამართლებრივი ღონისძიებაა, რომელიც გულისხმობს შესაძლო დანაშაულის ჩადენაში დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე პირის ხანმოკლე (მაქსიმალური ვადა – 72 საათი) თავისუფლების შეზღუდვას მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნებისთვის. მოქმედი სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობა პირის დაკავების ორ წესს აყალიბებს: 1) ორდინალური წესი – სასამართლოს განჩინებით; და 2) სასამართლოს ნებართვის გარეშე – გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე. დაკავებას, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებას *Ultima Ratio* ხასიათი გააჩნია.<sup>3</sup> მისი გამოყენება შესაძლებე-

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების დოქტორანტი, მონვეული ლექტორი.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის № 646 საოქმო ჩანაწერი.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის № 2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები თემურ ჯანაშია და გიორგი ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

<sup>3</sup> ფაფიაშვილი ლ. (რედ.), ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, თბ., 2017, 213.

ლია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებით მიღწეული ვერ იქნება კონსტიტუციური და კანონისმიერი მიზნები.

საპროცესო იძულების ღონისძიების – სანქცირებული დაკავების აუცილებელი წინაპირობაა დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.<sup>4</sup> დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს სავალდებულო მტკიცებულებით სტანდარტს, რომლის საკანონმდებლო დეფინიციას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი გვთავაზობს. აღნიშნული განმარტების თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

როგორც სასამართლოს განჩინებით, ისე მის გარეშე დაკავებისას, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სახეზეა ერთ-ერთი საფრთხე მაინც, კერძოდ: პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი უნდა იქნეს ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.<sup>5</sup>

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე, რომელსაც არასანქცირებულ დაკავებასაც უწოდებენ, ხორციელდება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მყისიერი, უეცრად წარმოშობილი აუცილებლობის საფუძველზე.<sup>6</sup> გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ნებართვის მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.<sup>7</sup> ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითნებური დაკავება უმეტესწილად დაკავშირებულია გადაუდებელ აუცილებლობასთან.<sup>8</sup> შესაბამისად, ყველა საჭირო ზომა უნდა იქნეს მიღებული როგორც საკანონმდებლო, ასევე, საგამოძიებო პრაქტიკის დონეზე, რათა სახელმწიფომ თავიდან აიცილოს დაუსაბუთებელი დაკავება და პირთა უფლებების უსაფუძვლო შეზღუდვა.<sup>9</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავება მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფას ემსახურება. აღნიშნული ღონისძიების არსებობა მნიშვნელოვან სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს ბრალდების მხარისათვის, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს აცილებული ბრალდე-

<sup>4</sup> ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კორკელია კ. (რედ.), თბ., 2010, 176.

<sup>5</sup> Lukanov v. Bulgaria, [1996], ECtHR, 21915/93; Steel and others v the United Kingdom, [1998] ECtHR, 23/09/1998, 67/1997/851/1058.

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის № 1/2/503, 513 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის № 1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

<sup>8</sup> *United Nations, Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers*, New York, Geneva, 2003, 161.

<sup>9</sup> მიერი ე., ჰანკოკი ბ., კოუდერი ნ. (სარედ. ჯგუფი), ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისათვის, თბ., 2008, 68.

ბულის მიმალვა, მის მიერ მტკიცებულებების განადგურება ან/და ახალი დანაშაულის ჩადენა. აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, აუცილებელია, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების მოძიება, ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა და პრაქტიკაში არასანქცირებული დაკავების სამართლებრივად დასაბუთებული გამოყენება.

## **2. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ფაქტობრივი საფუძვლები**

საგამოძიებო პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს პირის დაკავება მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. მსგავსად სანქცირებული დაკავებისა, სასამართლოს ნებართვის გარეშე პირის დაკავების დროსაც საჭიროა როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ასევე ფორმალური (საპროცესო) საფუძველი და ორივე საფუძველთან მიმართებით კუმულაციურად უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი. ერთ-ერთი ამ წინაპირობის არ არსებობა გამორიცხავს დაკავების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკანონოდ აქცევს.<sup>10</sup>

გადაუდებელი აუცილებლობის დროს დაკავების ფაქტობრივ საფუძველს საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ, აღნიშნული ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმად პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. შესაბამისად, გამოძიების მწარმოებელ ორგანოს შეკრებილი უნდა ჰქონდეს იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისი იქნება დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაული იმ პირმა ჩაიდინა, რომლის დაკავებაც ხდება მოსამართლის განჩინების გარეშე. ამავდროულად, განსხვავებით სანქცირებული დაკავებისაგან, არასანქცირებული დაკავებისათვის საჭირო არ არის, რომ ეს კონკრეტული დანაშაული სასჯელად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივ საფუძველს აფუძნებს/ქმნის იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადასტურებს პირის ბრალეულობას. შესაბამისად, მტკიცებულებები, რომლებიც ჩამოთვლილია ბრალდების შესახებ დადგენილებაში და ასევე, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც შესაძლოა სახელდებით არ იყოს მოხსენებული დადგენილებაში, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში არსებობს და პირდაპირ თუ ირიბად მიუთითებს პირის ბრალეულობაზე. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა ძირითადი, პირდაპირი/არაპირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პირის მიერ მისთვის ინკრინინირებული ქმედების ჩადენას, უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ არის მითითებული ბრალდების შესახებ დადგენილებაში.<sup>11</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ერთ-ერთი განჩინების თანახმად, „ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მონმეების დაკითხვის ოქმები, დაზარალებულის დაკითხვის ოქმი, ბრალდებულების დაკითხვის ოქმები, დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი და საქმეში არსებული სხვა მასალები) და საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, სახეზეა საკმარისი

<sup>10</sup> ფაფიაშვილი ლ. (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 503.

<sup>11</sup> Brogan v. the United Kingdom, [1988] ECtHR, 11209/84; 11234/84; 11266/84; 11386/85; Murray v. the United Kingdom, [1996], ECtHR, 25/01/1996, 41/1994/488/570.

ფაქტობრივი საფუძვლები და დასაბუთებული ვარაუდი ...<sup>12</sup> სხვა განჩინების მიხედვით, „სა-სამართლო განმარტავს, რომ ... ფაქტობრივი საფუძველი უკავშირდება მტკიცებულებების საკითხს და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა შეფასდეს საქმეზე არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საქმის გარემოებათა გათვალისწინებით რამდენად დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რომ დაესკვნა ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესახლო ჩადენა.“<sup>13</sup>

„საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობა გულისხმობს იმგვარი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რაც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, თუმცა რა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე.<sup>14</sup>

არასანქცირებული დაკავება არ უნდა იყოს აღქმული იმგვარად, რომ ამ დროს პირის დაკავებაზე სასამართლო კონტროლი არ ხორციელდება. სასამართლო ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ამონმებს დაკავების კანონიერებას და თუ იგი ჩათვლის, რომ სახეზე არ იყო დაკავების ფაქტობრივი ან ფორმალური საფუძველი, ასეთ დაკავებას უკანონოდ მიიჩნევს. მოსამართლის ვალდებულებას წარმოადგენს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე თავის განჩინებაში რამდენიმე წინადადებით მაინც შეეხოს დაკავების კანონიერებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის განჩინების თანახმად, „ი.ბ-ის დაკავებისას, მისთვის ბრალის წარდგენისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით არ დასტურდება“.<sup>15</sup> შესაბამისად, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მასალებით არ დასტურდება დაკავების ფაქტობრივი ან ფორმალური საფუძვლების არ არსებობა, მოსამართლე რამდენიმე წინადადებით მაინც შეეხება ხსენებულ საკითხს და განაცხადებს, რომ პირის დაკავებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევის დაშვების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ხოლო, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტული პირის დაკავების დროს აღნიშნული პირის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ის მასალები (ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა), რომლებიც საკმარისი იქნებოდა ფაქტობრივი საფუძვლის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით შესაქმნელად, მოსამართლე დაკავებას უკანონოდ ცნობს და დაკავებულს დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს.

## 2.1. გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ფორმალური საფუძვლები

გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავებისთვის აუცილებელია ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველთან ერთად არსებობდეს ფორმალური (საპროცესო) საფუძველიც, სხვაგვარად პირის დაკავება დაუშვებელია.<sup>16</sup> გადაუდებელი აუცილებლობის დროს დაკავების დასაბუთებულობის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე სანქცირებული დაკავებისას, რადგან პირის დაკავებას წინ არ უძღვის მის მიერ ჩადენილი ან ჩასადენი ქმედების შესახებ

<sup>12</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე № 10ა/5899.

<sup>13</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № 10დ/4666.

<sup>14</sup> Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, [1990], ECtHR, 12244/86, 12245/86, 12383/86.

<sup>15</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის განჩინება საქმეზე № 10დ/163.

<sup>16</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 10დ/5660.

სასამართლოს ინფორმირებულობა და მისი ნებართვა დაკავების თაობაზე. არასანქცირებული დაკავების შემთხვევაში, პოლიციელი, გამომძიებელი თუ დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირი გადაწყვეტილებას იღებს პირადი გამოცდილების და პროფესიული უნარ-ჩვევების საფუძველზე, რის შემდგომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას მოსამართლე ამონებს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე. მოსამართლის განჩინების გარეშე პირის დაკავებისას უნდა არსებობდეს რომელიმე შემდეგი გარემოება (საფუძველი): ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით; გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო; ე) პირი შესაძლოა მიიმალოს; ვ) პირი ძებნილია; ზ) მოსამართლის განჩინების გარეშე დაკავების შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომელიც კუმულაციურად განიხილება ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილთან კავშირში და რომლის მიხედვით, დაკავების ფაქტობრივ საფუძველთან ერთად უნდა არსებობდეს რომელიმე შემდეგი გარემოება (ფორმალური ალტერნატიული საფუძველი): პირის მიმალვის ან სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

აღსანიშნავია, როგორც საქართველოს გენერალურ პროკურატურას (მის სტრუქტურულ ერთეულებს), ასევე საერთო სასამართლოებს უფრო მეტად უჭირთ დასაშვები სტანდარტით ფორმალური საფუძვლის დასაბუთება, ვიდრე ფაქტობრივი საფუძვლის. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული მოითხოვს კონკრეტულ, ბუნებაში რეალურად არსებულ, ობიექტურ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც უკვე ჩადენილი დანაშაულის გარდა, მიუთითებენ ნორმატიულად დაწესებული სხვა ზემოაღნიშნული საფრთხეების არსებობაზე. როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც სხვა ალტერნატივა არსებულ სამართლებრივ სივრცეში ფიზიკურად არ არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის შვიდ კონკრეტულ საფუძველს, როდესაც შესაძლებელია პირის არასანქცირებული დაკავება. ამასთან, პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.<sup>17</sup>

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეულ საფუძველს დამოუკიდებლად განვიხილავთ, რათა სრულყოფილად შევძლოთ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის სათანადო გზების მოძიება.

<sup>17</sup> იხ. 171-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სსმ, 31, 03/11/2009.

### 2.1.1. პირის დაკავება დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისთანავე

აღნიშნული საფუძვლით პირის დაკავებისას, აუცილებელია, რომ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დაკავებას შორის არ იყოს დროის დიდი ინტერვალი. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან დანაშაულის ჩადენისთანავე გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი დაასრულებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და ხდება იმნუთიერადვე დამკავებელი პირის შემთხვევის ადგილზე ყოფნა/მისვლა, რაც დიდი დროის ინტერვალით არ ამორებს დამნაშავე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას და შემთხვევის ადგილის მის მიერ დატოვების მცდელობას.<sup>18</sup>

„პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას“ გულისხმობს შემთხვევას, როდესაც დამკავებელი მოხელე კანონის სავარაუდო დამრღვევს წაასწრებს დააკავებს დანაშაულის განხორციელების პროცესში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ან იმნუთიერად დასრულდა დანაშაულის ჩადენა და ბრალდებული დამკავებელი პირის თვალთახედვის არეშია, ანუ დანაშაულებრივი ქმედების ვიზუალური აღქმის პირველი შეხებაც დამკავებელ პირსაც გააჩნია.<sup>19</sup>

„პირის დაკავება ჩადენისთანავე“ გულისხმობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამკავებელი პირის მხედველობის არიდან არ მიმალულა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს პირის დაკავება განხორციელდება დანაშაულის ჩადენის ადგილას დანაშაულის შემადგენლობის დასრულების შემდეგ, თუ შემთხვევის ადგილიდან მოშორებით. მთავარია, რომ დამკავებელი პირის მიერ დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უშუალოდ იქნეს დანახული და მის დაკავებამდე ის ობიექტურად არ მიიმალოს დამკავებელი პირის მხედველობის არიდან.<sup>20</sup> საინტერესოა, საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკიდან აღნიშნული საფუძვლით პირის დაკავების ერთ-ერთი მაგალითის განხილვა. 2017 წლის 06 აპრილით დათარიღებულ ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმშიც, გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლად მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე“. <sup>21</sup> როგორც ხსენებული საქმის მასალებიდან ირკვევა, 2017 წლის 06 აპრილს, ბრალდებული, სხვა პირთან ერთად, სახრახნისის გამოყენებით, ცდილობდა სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა თანხას, რა დროსაც ხსენებული პირები დაკავებული იქნენ პოლიციის თანამშრომელთა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობას. აღნიშნული პირების დაკავება განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე და როგორც აღინიშნა, დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ საფუძვლად დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2017 წლის 07 აპრილის განჩინებით<sup>22</sup>, ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობისას, კანონიერად ჩათვალა აღნიშნული პირების გადაუდე-

<sup>18</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 1გ/1722-16.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 505-506.

<sup>21</sup> სისხლის სამართლის № 001060417001 საქმე, 2017 წლის 6 აპრილი ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.

<sup>22</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა/1686.

ბელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავება. მართლაც, ნათელია, რომ ზემოთ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში, არსებობდა არასანქცირებული დაკავების როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძველები.

თუმცა ასევე საინტერესოა საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკიდან კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც მსგავს ფაქტობრივ გარემოებებს შეეხება.

2014 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმში, გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ (საპროცესო) საფუძველად მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი „პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი“.<sup>23</sup> ამასთან, საქმის მასალებიდან დგინდება, რომ პირი (ბ. ყ.) დაკავებული იქნა იმ დროს, როდესაც კაუჭის გამოყენებით ცდილობდა ფარულად დაუფლებოდა სწრაფი ჩარიცხვის აპარატში არსებულ ფულად თანხას. აღნიშნული პირის პირადი ჩხრეკის შედეგად, მართალია, ამოღებული იქნა ზემოხსენებული კაუჭი, რომელიც დანაშაულის ჩასადენად სჭირდებოდა ბრალდებულს, თუმცა ცხადია, რომ მისი დაკავება მოხდა დანაშაულის ჩადენისას, რის გამოც სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან ერთად დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული ზემოხსენებული მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიც.

მიუხედავად ამისა, მოსამართლის განჩინების<sup>24</sup> თანახმად, რომ ბ. ყ.-ს დაკავებისას, ბრალდებულად ცნობისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას, საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც კანონიერად ჩათვალია აღნიშნული პირის გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავება.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომზე მუშაობისას შესწავლილ იქნა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსამართლეთა ასამდე განჩინება, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სასამართლოს მიერ არ ხდება დაკავების კანონიერებაზე დეტალური მსჯელობა და შემოიფარგლებიან მხოლოდ რამდენიმე სიტყვით, ჰქონდა თუ არა პირის დაკავებისას საპროცესო დარღვევის ფაქტს ადგილი. მიზანშეწონილია, მოსამართლეებმა უფრო სიღრმისეულად იმსჯელონ დაკავების კანონიერების საკითხზე, თუნდაც დაკავების საფუძველბთან მიმართებით, თუ რამდენად შეესაბამება დაკავების ან/და დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში დაფიქსირებული დაკავების საფუძველი სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.<sup>25</sup> აღნიშნული მართებულად განავითარებს დაკავების კონტექსტში საგამოძიებო მიმართულებს და დაამკვიდრებს სწორ/ერთგვაროვან საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკას.

სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით ასევე უნდა ითქვას, რომ მასში ერთდროულად მოიაზრება როგორც დამთავრებული დანაშაულის, ასევე, მცდელობის შემთხვევები და არსებითი მნიშვნელობის არ არის დაკავების ოქმში მათი გამიჯვნა. დროის მითითებამ, კონკრეტულად დანაშაულის ჩადენისას განხორციელდა დაკავება თუ დანაშაულის ჩადენისთანავე, პრაქტიკული დანიშნულება შესაძლოა შეიძინოს მოგვიანებით,

<sup>23</sup> სისხლის სამართლის საქმე № 001211214001, 2014 წლის 21 დეკემბრის ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.

<sup>24</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 10ა/7319.

<sup>25</sup> ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბ., 2016, 16.



დამკავებელი სუბიექტების გამოკითხვისას, აღწერილობით ნაწილში, ჩვენებათა ურთიერთშესაბამისობისა და დამაჯერებლობის კონტექსტში.<sup>26</sup>

აქვე უნდა ითქვას, რომ განსახილველი საფუძვლით პირის დაკავების შესაძლებლობას ითვალისწინებს ბელგიის კანონმდებლობაც, რომლის მიხედვით დაკავება საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებულია 1990 წელს მიღებულ კანონში „წინასწარი პატიმრობის შესახებ“. ბელგიის კანონმდებლობით, პირის დაკავებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საფუძველია დანაშაულზე წასწრება. ასეთ შემთხვევაში, პოლიციელს ენიჭება უფლებამოსილება გამოიყენოს პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიება – დაკავების სახით. ამავე დროს, მსგავსი სიტუაციის არსებობისას პირის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პირის დაკავებაზე გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი.<sup>27</sup>

დაბოლოს, საქართველოს პროცესუალურ კანონმდებლობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ ქვეთავში განსახილველი საფუძველი წარმოადგენს ერთადერთ ფორმალურ საფუძველს, რომლის დროსაც იმუნიტეტის მქონე პირის დაკავებაც კი შესაძლებელია. აღნიშნულ შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი, თუმცა მასშივე გათვალისწინებულია გამონაკლისი, კერძოდ, ამ საფუძვლითაც კი არ შეიძლება დაკავებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტი, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები.

### 2.1.2. დანაშაულის ჩადენის ადგილას მყოფი პირის დაკავება

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება დადევნება მისი დაკავების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს, რომ პირი თვითმხილველის/ცხელ კვალზე დაკავების განმახორციელებელი სუბიექტების მხედველობის არიდან არ მიმალულა. თუ პირი დამკავებელი პირის მხედველობის არიდან დროებით მაინც მიიმალა და მოგვიანებით ისევ გამოჩნდა, მაშინ მისი დაკავება უნდა განხორციელდეს სხვა საფუძვლით.<sup>28</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული საფუძველი ძალიან ჰგავს ზემოთ განხილულ დაკავების საფუძველს, თუმცა მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, პირის დაკავება შემთხვევის ადგილას კი არ ხდება, არამედ პირის მიმართ ხორციელდება დადევნება და შემთხვევის ადგილიდან მოშორებით ხდება მისი დაკავება. ამასთან, აღნიშნული საფუძველით პირის დაკავების დროს, გაცილებით მარტივი ხდება შემდგომში თუნდაც აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობისას მიმალვის საფრთხის დასაბუთება, რადგან უდავოა, რომ თუ პირმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ უმაღლეს მიმალვა სცადა, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზეც აპრიორი იარსებებს მისი მიმალვის საფრთხე. მართლაც, მოსამართლის განჩინების თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელი, ერთ-ერთი რელევანტური ფაქტორია მიმალვის საფრთხის დასაბუთებ-

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რეკომენდაცია დაკავების ოქმის შედგენის შესახებ, თბ., 2020, 4.

<sup>27</sup> ვინგარტი კ. (რედ.), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, 40.

<sup>28</sup> ფაფიაშვილი ლ. (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2015, 506.

ლად, სასამართლო მხოლოდ მკაცრ სასჯელზე მითითებით არ მიიჩნევს მიმალვის საფრთხეს დასაბუთებულად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრალდებული შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას და მხოლოდ პოლიციელების დადევნების შემდეგ გახდა მისი დაკავება შესაძლებელი.<sup>29</sup>

აღსანიშნავია, რომ დაკავების აღნიშნული საფუძველი საგრძნობლად აფართოებს შესაძლო დასაკავებელ პირთა წრეს. დანაშაულის ჩადენის ადგილას ყოფნა აპრიორი არ ნიშნავს დანაშაულთან პირდაპირ შემხებლობას. სამართლის ნორმის განჭვრეტადობის პრინციპის მხედველობაში მიღებით, სასურველი იქნებოდა, კანონმდებელი თუ უფრო მეტად დააკონკრეტებდა აღნიშნულ საფუძველს, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას დაგვესკვნა, თუ კონკრეტულად რა შემთხვევაში არის შესაძლებელი, გადაუდებელი აუცილებლობის დროს, ხსენებული საფუძველით პირის დაკავება, რათა უსაფუძვლოდ არ მოხდეს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დაცულ სფეროში, ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პრაქტიკაში განსახილველი საფუძველი, როგორც წესი, გამოიყენება დაკავების სხვა საფუძველთან კომბინაციაში. ყველაზე უფრო ხშირად მისი გამოყენება ხდება სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან ერთობლიობით.<sup>30</sup> შესაბამისად, აღნიშნული ორი საფუძველი პრაქტიკული თვალსაზრისითაც საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან.

ყურადღება უნდა გამახვილდეს განსახილველ საფუძველში, კანონმდებლობაში მითითებულ სიტყვებზე „დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა“. როგორც ცნობილია, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან, სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელი სუბიექტი არის პროკურორი. აღნიშნულ საფუძველში კი ცალსახაა, რომ პროკურორი არ იგულისხმება, არამედ უმეტესად ნაგულისხმევია პირი, რომელიც ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის ბრალდებულად ცნობით ან მისი დაკავებით.<sup>31</sup>

განსახილველი საფუძველის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შესაძლებელია, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდეს მანამდეც, სანამ მოხდება ამ უკანასკნელის დაკავება/ბრალდებულად ცნობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა: სისხლისსამართლებრივ დევნა შეიძლება დაიწყოს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის ფაქტობრივ დაკავებამდე?<sup>32</sup>

აღნიშნულ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობა პირდაპირ აწესებს და იმპერატიულად ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევებს. შესაბამისად, მანამ, სანამ არ მოხდება პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა სისხლისსამართლებრივი დევნას არ ექნება ადგილი.<sup>33</sup>

<sup>29</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა/1686.

<sup>30</sup> სისხლის სამართლის № 001060417001 საქმე, 2017 წლის 6 აპრილის ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.

<sup>31</sup> იხ. სსსკ-ის 167-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>32</sup> მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2015, 92.

<sup>33</sup> იქვე.

აღნიშნული თვალსაზრისით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია დახვეწას საჭიროებს. უდაოა, რომ სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტში ტერმინი – სისხლისსამართლებრივი დევნა არასწორად არის გამოყენებული, რაც უფრო ართულებს სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად გაგებას და იწვევს ტერმინოლოგიურ აღრევას. მიზანშეწონილია, აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება ცხელ კვალზე დადევნება მისი დაკავების მიზნით.“<sup>34</sup>

### 2.1.3. პირის დაკავება დანაშაულის აშკარა კვალის არსებობის დროს

თუ პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი, ასეთ შემთხვევაში, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნული პირის დაკავების შესაძლებლობას მოსამართლის განჩინების გარეშე. კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩადენილი დანაშაულის კვალი უნდა იყოს აშკარა და იგი აღმოჩენილ უნდა იქნეს პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვალის არსებობის დასადგენად, საჭიროა საექსპერტო კვლევა, აღნიშნული არ ქმნის ამ საფუძველით პირის დაკავების შესაძლებლობას და კვალის დადასტურების შემთხვევაში პირის დაკავება უნდა განხორციელდეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ამასთან, აშკარა კვალს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი, რომლის ტანსაცმელზეც/რომელთანაც/ან რომლის სხეულზეც აღმოჩენილი იქნება აღნიშნული კვალი ვერ ხსნის აღნიშნული კვალის წარმოშობას და ვერ მიუთითებს რამდენადმე გონივრულ/ლოგიკურ ახსნას.<sup>35</sup>

გარდა ამისა, განსახილველი საფუძველი განსაზღვრავს კვალის აღმოჩენის ადგილს. კერძოდ: პირის სხეული; პირის ტანსაცმელი; პირთან უშუალო სიახლოვეს მდებარე ან მის მფლობელობაში არსებული სივრცე ან საგანი. შესაბამისად, კვალი შესაძლებელია, აღმოჩნდეს როგორც სხეულზე გარედან, ასევე სხეულში დარჩენილი კვალის სახით. მაგალითად, ძალადობის განმახორციელებელი პირის ფრჩხილებქვეშ ადამიანის თმის და კანის ნიმუშებია ან პირის სხეულში აღმოჩენილია ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მას სხეულის საშუალებით გადააქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სახეზე გვექნება დაკავების სხვა საფუძველიც „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას“.

პირის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალის საიულებული მატარებელი მატარებლის შიგნით შეიძლება გამოგვადგეს შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავს (დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს) საცხოვრებელი კორპუსიდან შემოესმა ძლიერი ყვირილის ხმა და ამ დროს აღნიშნული კორპუსის სადარბაზოდან გამოიშინა პიროვნება, რომლის მაისურიც სისხლით არის მოსვრილი. ასეთ შემთხვევაში, განსახილველი საფუძველით პირის დაკავება კანონშესაბამისად უნდა იქნეს მიჩნეული. ხოლო, რაც შეეხება პირთან ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალის არსებობას, აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც, მაგალითად, პირს მის ზურგზე არსებულ ჩანთაში აღმოაჩნდება ცეცხლსასროლი იარაღი ან ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის კანონიერ წარმომავლობასაც აღნიშნული პირი ვერ ასაბუთებს.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 509.

საგამოძიებო პრაქტიკაში გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც თავდაპირველად ხორციელდება საგამოძიებო მოქმედება – პირადი ჩხრეკა, რომლის შედეგების საფუძველზეც შესაძლოა მიღებული იქნას გადაწყვეტილება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში პირის დაკავების შესახებ. მაგალითად, 2016 წლის 4 აგვისტოს, ქ. თბილისში, პიროვნებამ ქალბატონს ამოაცალა მობილური ტელეფონი და შემდგომ შემთხვევის ადგილიდან ჩუმად გაუჩინარდა. ქალბატონმა ფაქტის შესახებ იმავე დღეს შეატყობინა სამართალდამცველებს და ასევე მიაწოდა ინფორმაცია მობილური ტელეფონის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების შესახებ. შეტყობინებიდან რამდენიმე საათში აღმოჩენილი იქნა პიროვნება, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობით ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რომლის შედეგადაც ამოღებული იქნა ზემოაღნიშნული მობილური ტელეფონი.<sup>36</sup> აღნიშნულ შემდეგ, უმაღლეს მოხდა ხსენებული პირის არასანქცირებული დაკავება სწორედ განსახილველი საფუძველით.<sup>37</sup>

#### **2.1.4. ამოცნობა როგორც დაკავების საფუძველი**

აღსანიშნავია, რომ პირის დაკავება სასამართლო განჩინების გარეშე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ საფუძველში მოხსენიებული ამოცნობა სამართლებრივად ძალზე განსხვავდება სსსკ-ის 131-ე მუხლში გათვალისწინებული ამოცნობისაგან. ეს უკანასკნელი არის საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარების პროცედურაც დეტალურად არის რეგლამენტირებული ხსენებულ მუხლშივე.

ხოლო, რაც შეეხება თვითმხილველის მიერ შესაძლო დანაშაულის ამოცნობას, აღნიშნულისათვის საჭიროა, რომ თავდაპირველად პირმა ჩაიდინოს დანაშაული, რის შემდეგაც უნდა მიიმალოს და აღნიშნულის შემდეგ იგი თვითმხილველმა უნდა ამოიცნოს, რაც საფუძველი გახდება მოსამართლის განჩინების გარეშე პირის დაკავების. აღნიშნული საფუძველით პირის დაკავებისთვის სსსკ-ი ადგენს დამატებით ორ წინაპირობას: 1) დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა მიიმალოს დანაშაულის ჩადენის ადგილიდან; 2) მისი ამოცნობა ხორციელდება მოგვიანებით თვითმხილველი პირის მიერ.<sup>38</sup>

აქვე, აღსანიშნავია, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსის წინამორბედი კოდექსი, განსხვავებულად აყალიბებდა დასახელებულ ნორმას. საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირის დაკავების შესაძლებლობას უშვებდა, თუ თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებდნენ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე.<sup>39</sup>

ახალმა საპროცესო კოდექსმა არ გაიზიარა წინამორბედი კანონმდებლობის ნორმა, რადგან ზემოაღნიშნული დებულებით უსაფუძვლოდ ხდებოდა დაკავების საპროცესო საფუძველის გაფართოება, რადგან დაზარალებული შესაძლოა საერთოდ არ ყოფილიყო თვითმხილველი მოწმე: მაგალითად, პირმა ფარულად ამოაცალა დაზარალებულს მობილური ტელეფონი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, როგორც ეს მოხდა წინა საფუძველზე მსჯელობის მაგალითში. ახალმა საპროცესო კოდექსმა კი აქცენტი უშუალოდ დანაშაულის თვითმხილველ

<sup>36</sup> სისხლის სამართლის № 001040816006 საქმე, 2016 წლის 4 აგვისტოს პირადი ჩხრეკის ოქმი.

<sup>37</sup> სისხლის სამართლის № 001040816006 საქმე, 2016 წლის 4 აგვისტოს ბრალდებულის დაკავების ოქმი.

<sup>38</sup> ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 508.

<sup>39</sup> 172-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, სსსკ, 20/02/1998.

პირებზე გააკეთა, რომელთა შორისაც იგულისხმება დაზარალებულიც. თვითმხილველად პირი მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც მან თავად, უშუალოდ დაინახა დანაშაულის ჩადენის ფაქტი – სრულად ან ნაწილობრივ – დანაშაულის ჩადენის რაიმე ნაწილი.<sup>40</sup>

მართლაც, 2016 წლის 1 ივლისით დათარიღებული ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმის „რა ვითარებაში მოხდა დაკავება“ ნაწილის თანახმად, „მას შემდეგ, რაც დაზარალებული თვითმხილველის ლ.ჯ-ს მონაწილეობით შეტყობინების შემოსვლისთანავე მოხდა შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიის შემოვლა ავტომობილით და ლ.ჯ.-მ მიუთითა ქუჩაზე ფეხით მოსიარულე ახალგაზრდა ბიჭზე და განაცხადა, რომ სწორედ მან დანის მუქარით მოსთხოვა მობილური ტელეფონი“.<sup>41</sup>

მოსამართლემ კანონიერად მიიჩნია ასეთ დროს აღნიშნული საფუძვლით პირის დაკავება და მიუთითა „ბრალდებულების დაკავებისას კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევების ფაქტი საქმის მასალებით, მათ შორის დაკავების ოქმებით არ დგინდება“.<sup>42</sup>

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში არცთუ იშვიათია თვითმხილველის მიერ ამოცნობის საფუძვლით პირის გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების შემთხვევები. როგორც წესი, თვითმხილველის მიერ პირის ამოცნობა ხორციელდება ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედების – ამოცნობის დროს, რის შემდგომ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ხორციელდება აღნიშნული პირის დაკავება. თუმცა შესაძლებელია და ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც გამოჩნდა, რომ პრაქტიკაშიც ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საგამოძიებო მოქმედება – ამოცნობა, არ უსწრებს პირის დაკავებას განსახილველი საფუძვლით, არამედ თვითმხილველის მიერ ამოცნობა ხორციელდება ზეპირსიტყვიერად ან სამართალდამცავებთან სხვა სახის ურთიერთობით. თვითმხილველის მიერ ამოცნობა შესაძლებელია უკავშირდებოდეს რამდენიმე ვითარებას: 1) თვითმხილველი არ იცნობს დანაშაულის ჩამდენ პირს/არ იცის მისი ვინაობა მაგრამ უშუალოდ მიუთითებს მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე – აღნიშნული პრაქტიკულად უტოლდება ამოცნობას; 2) თვითმხილველმა იცის დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და ასახელებს მას. აღნიშნულს შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ისევე მოგვიანებით, სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას (მაგალითად, მოწმის გამოკითხვის ოქმში, შეტყობინებაში და ა. შ.).<sup>43</sup>

პრაქტიკაში ორივე სახის შემთხვევა ჰქონდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილებას. ორივე სისხლის სამართლის საქმეში ადგილი ჰქონდა ძარცვას. კერძოდ, 2016 წლის 05 ივლისს, დამნაშავემ ქალბატონს ყელიდან ჩამოწყვიტა ოქროს ჯაჭვი, ყელსაბამი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული ქალბატონი არ იცნობდა დამნაშავეს, თუმცა შეძლო დაემახსოვრებინა პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნული საქმის ფარგლებში, 2016 წლის 13 ივლისს, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება – ამოცნობა, რა დროსაც ქალბატონის მიერ ამოცნობილი იქნა დამნაშავე პიროვნება, რომელიც სამართალდამცავების მხრიდან დაკავებულ იქნა განსახილველი საფუძვლით. აღნიშნულის შემდეგ, 2016 წლის 14 ივლისს, გაიმართა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა, სადაც მოსამართლემ კანონიერად ჩათვალა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში

<sup>40</sup> ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 506.

<sup>41</sup> სისხლის სამართლის № 001010716009 საქმე, 2016 წლის 1 ივლისის ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.

<sup>42</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე № 10ა/3229.

<sup>43</sup> ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 508.

ზემოხსენებული საფუძვლით პირის დაკავება და ხსენებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობაც შეუფარდა.<sup>44</sup>

გარდა აღნიშნული შემთხვევისა, 2014 წლის 24 აპრილს, ძარცვის ფაქტზე კვლავ იქნა დაკავებული დამნაშავე, რომლის დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ საფუძვლადაც მითითებულია სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ დაკავებას წინ არ უსწრებდა საგამოძიებო მოქმედება – ამოცნობა, არამედ პიროვნება, რომელსაც გასტაცეს მობილური ტელეფონი იცნობდა დამნაშავეს და მან ამის შესახებ განუცხადა სამართალდამცავებს მოწმის სახით გამოკითხვის ოქმში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის განჩინებით აღნიშნული დაკავება ცნობილ იქნა კანონიერად.<sup>45</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ ქვეთავში მითითებული საფუძველი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკაში.

### **2.1.5. მიმალვის საფრთხის არსებობისას პირის დაკავება**

არასანქცირებული დაკავების საფუძველთაგან ჰიპოთეტურ და შესაბამისად, ყველაზე მეტად ძნელად სამტკიცებელ გარემოებას წარმოადგენს მიმალვის საფრთხის არსებობა. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის დაკავება შესაძლებელია თუ არსებობს მისი მიმალვის საფრთხე. აღნიშნული არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ ნებისმიერი პირის დაკავება მოვიაზროთ შესაძლებლად მხოლოდ დაკავების განმახორციელებელი პირების კერძო შეხედულებების გათვალისწინებით, არამედ უნდა არსებობდეს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც არგუმენტირებულად მიუთითებს პირის მიმალვის რეალურ შესაძლებლობაზე. ამგვარ გარემოებებში გასათვალისწინებელია პირის პიროვნული და ხასიათის თავისებურებები,<sup>46</sup> ისეთი ვითარება, როდესაც, მაგალითად, პირი გარბის, არ ემორჩილება სამართალდამცველის კანონიერ მოთხოვნას ან პირი აშკარად ემზადება მიმალვისთვის და სხვა. დაკავების აღნიშნული საფუძვლის არსებობა ზრდის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან თვითნებობის საფრთხეს. სწორედ ამიტომ, მიმალვის საფრთხის საფუძვლით პირის დაკავებისას, სახეზე უნდა გვექონდეს არამარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური გარემოებები, რომლებიც რეალურად მიუთითებენ პირის სუბიექტურ სურვილზე მიემალოს მართლმსაჯულებას.<sup>47</sup>

პირის მიმალვის საფრთხეზე შესაძლებელია ასევე მიუთითებდეს ობიექტურად არსებული გარემოებები მიმალვაზე მისი სუბიექტური სურვილის არარსებობის პირობებში. მაგალითად, როდესაც პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, ყოველი ასეთი გარემოება არ უნდა გახდეს პირის თავისუფლების უფლებაში ჩარევის საფუძველი. ასეთ დროს, პირის საცხოვრებელი ადგილის დადგენას და მოგვიანებით სასამართლოში მისი გამოცხადების უზრუნველყოფას ობიექტურად შესაძლებელია გარკვეული სირთულეები შეექმნას, მაგრამ აღნიშნული სირთულე არ წარმოადგენს პირისათვის თავისუფლების თუნდაც

<sup>44</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე № 10ა/3393.

<sup>45</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა/2848.

<sup>46</sup> Letellier v. France, [1991], ECtHR, 12369/86; Matznetter v. Austria, [1969], ECtHR, 2178/64.

<sup>47</sup> ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბ., 2010, 47.

ხანმოკლე შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს, თუ ამ პირის მხრიდან არ არსებობს სამართალდამცავი ორგანოებისგან მიმალვის დამადასტურებელი მტკიცებულება.<sup>48</sup>

საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, მართებულია დასკვნა, რომ უმეტეს შემთხვევაში, თუ არსებობს დაკავების სხვა რომელიმე საფუძველი, გამოძიებლის ან დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირის მიერ, აღნიშნულ საფუძველთან ერთად დაკავების ოქმში მაინც მიეთითება: „პირი შესაძლოა მიიმალოს“ საფუძველი, თითქოს ამით უფრო მეტად მყარი ხდება გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების დასაბუთებულობა. აღნიშნულს აქვს თავის ლოგიკური ახსნა, მაგალითად, როდესაც პირს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას/ჩადენისთანავე, ობიექტურად, შესაძლებელია, რომ ამ პირს გაუჩნდეს მიმალვის სურვილი. შესაბამისად, ასეთ დროს, დაკავების ოქმში სსსკ-ის 171-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან ერთად, მითითებული თუ იქნება ამავე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიც, აღნიშნული პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

როგორც აღინიშნა, სამართალდამცავები ძალზე ფრთხილად უნდა მოქმედებდნენ გადაუდებელი აუცილებლობის დროს მხოლოდ ამ საფუძველით პირის დაკავებასთან მიმართებით, რადგან ამ უკანასკნელს რეალურად და ობიექტურად სჭირდება ფაქტებით გამყარება და მხოლოდ დამკავებლის სუბიექტური ნება საკმარისი არ არის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე ახლო წარსულიდან. 2015 წლის 8 აპრილით დათარიღებულ ბრალდებულის დაკავების ოქმში<sup>49</sup> დაკავების ერთადერთ საფუძველად მითითებულია „პირი შესაძლოა მიიმალოს“, ხოლო გრაფაში თუ „რავითარებაში მოდა დაკავება“, იკითხება: „მას შემდეგ რაც ის (ბრალდებული) გამოცხადდა გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პირველ განყოფილებაში და განაცხადა, რომ მან რამდენიმე წუთის წინ მიაყენა მრავლობითი ჭრილობები ცივი იარაღით მუცელში გ.ო-ს.“

მიუხედავად დანაშაულის კატეგორიისა და ჩადენილი ქმედების ხასიათისა, მიმალვის საფრთხის არსებობის დასაბუთებას სჭირდება კონკრეტული, ბუნებაში რეალურად არსებული გარემოებები. ის ფაქტი, რომ პირი თავის ნებით უმაღლვე ცხადდება საგამოძიებო ორგანოში და აღიარებს ჩადენილ ქმედებას, არათუ მიმალვის საფრთხეზე, არამედ საპირისპიროზე მეტყველებს, რაზეც აღნიშნულ საქმეშივე მოსამართლის განჩინებაც მეტყველებს. „რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, მართალია ბრალდებულის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება ითვალისწინებს სასჯელს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით და ეს რელევანტური ფაქტორია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ბრალდებული ბრალის აღიარებით გამოცხადდა პოლიციაში, რაც ადასტურებს იმას, რომ იგი არ ერიდება მოსალოდნელ პასუხისმგებლობას.“<sup>50</sup> შესაბამისად, მოსამართლემ თავადვე გამოიციხა მიმალვის საფრთხე მოცემულ შემთხვევაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, პირის დაკავება კანონიერად მიიჩნია,<sup>51</sup> რაც არალოგიკურად და სამართლებრივ არგუმენტაციასთან/დასაბუთებასთან შეუსაბამოდ მიგვაჩნია.

ასევე, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავება მხოლოდ „პირი შესაძლოა მიიმალოს“ საფუძველით, სასამართლომ კანონიერად მიიჩნია. აღნიშნული პირი მხილებული იყო სს

<sup>48</sup> ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 510.

<sup>49</sup> სისხლის სამართლის № 001080415001 საქმე, 2015 წლის 8 აპრილის დაკავების ოქმი.

<sup>50</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა-1621-15.

<sup>51</sup> იქვე.

„ლიბერთი ბანკის“ ფილიალზე ყაჩაღურ თავდასხმაში, რა დროსაც პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა, ერთ-ერთ მათგანს მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თავდაპირველად, აღნიშნული პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა, თუმცა გამოძიებამ შეძლო მისი ვინაობის დადგენა, რის შემდგომაც იგი დააკავეს თავის საცხოვრებელ ბინაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, აღნიშნული დაკავება კანონიერად იქნა ცნობილი, ხოლო ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.<sup>52</sup>

როდესაც სავარაუდო ბრალდებული ბრალის აღიარებით ცხადდება სამართალდამცავ უწყებაში, მისთვის ცნობილია მის მიმართ დანყებული გამოძიების შესახებ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკითხა როგორც მოწმე, საგამოძიებო ორგანოებში ცხადდება გამოძახებისთანავე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად და თავისი ქმედებებით ხელს არ უშლის გამოძიებას<sup>53</sup> ასევე, სხვა შემთხვევებში ნებაყოფლობით ცხადდება საგამოძიებო ორგანოში და აღიარებს ჩადენილ დანაშაულს,<sup>54</sup> მიზანშეუწონელია მიმალვის საფრთხეზე მითითებით პირის გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავება.<sup>55</sup>

აღნიშნულის საილუსტრაციოდ საინტერესოა შემდეგი სისხლის სამართლის საქმე: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით, უკანონოდ ცნო „პირი შესაძლოა მიიმალოს“ საფუძველით გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში პირის დაკავება შემდეგ გარემოებათა გამო: „რ.ი-ის დაკავების ოქმის მიხედვით ბრალდებულის დაკავებას საფუძველად დაედო ვარაუდი მისი მიმალვის შესახებ, თუმცა წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ქურდობა განხორციელდა 2014 წლის 23 დეკემბერს, ამასთან 2015 წლის 7 თებერვალს ბრალდებული დაბარებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, დაიკითხა მოწმის სახით, აღიარა მის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება, რის შემდეგაც დააკავეს ბრალდებულის სახით. ხსენებული ოქმით ასევე ირკვევა, რომ დაკავება მოხდა მშვიდ ვითარებაში, რაიმე სახის იძულებას ადგილი არ ქონია, ბრალდების მხარის კი კონკრეტული ინფორმაცია მისი შესაძლო მიმალვის შესახებ არ გააჩნია, აღნიშნული კი გამორიცხავს მიმალვის საფუძველით ბრალდებულ რ.ი-ის მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების აუცილებლობას“.<sup>56</sup>

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებითად დაირღვა სსსკ-ის 171-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან არ არსებობდა დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნულის შედეგად, ბრალდებული დაუყოვნებლივ იქნა გათავისუფლებული სხდომის დარბაზიდან, თუმცა მის მიმართ მაინც იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო. აღნიშნული კი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დაკავების უკანონოდ ცნობა ავტომატურად არ ნიშნავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზეც უარის თქმას, რადგან აღნიშნული ორი საპროცესო ინსტიტუტი დამოუკიდებლად განიხილა და ცალ-ცალკე სჭირდება დასაბუთება.

<sup>52</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № 10ა/4432-16.

<sup>53</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის განჩინება, <[https://court.ge/courts/baTumis\\_saqalaqo\\_sasamarTlo/?page=25&id=695](https://court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=695)> [29.05.2021].

<sup>54</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განჩინება, <[https://court.ge/courts/baTumis\\_saqalaqo\\_sasamarTlo/?page=25&id=696](https://court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=696)> [29.05.2021].

<sup>55</sup> ნაცვლიშვილი ა., ადამიანის უფლებები დაკავების დროს და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2017, 13-14.

<sup>56</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 თებერვლის განჩინება საქმეზე № 10ა/536.



აღსანიშნავია, რომ საზოგადოდ, განსახილველი საფუძველი რეგლამენტირებულია არაერთი ევროპული ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მათ შორის, იტალიის კანონმდებლობაშიც, სადაც დამკავებელ პირს ენიჭება უფლებამოსილება პირის მიმალვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე სასამართლოს ნებართვის გარეშე პირის დაკავება.<sup>57</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის დაკავება მხოლოდ იმ საფუძველით, როდესაც „პირი შესაძლოა მიიმალოს“, დაკავშირებულია მთელ რიგ პროცესუალურ, ასევე, ფაქტობრივ სირთულეებთან და სამართალდამცავების მხრიდან იძლევა ფართო მიხედულების შესაძლებლობას, რამაც შესაძლოა არსებითად შეზღუდოს პირთა თავისუფლების უფლება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ნორმატიულ დონეზე მოხდეს ხსენებული საფრთხის აღკვეთა/რეგულირება და უფრო მეტად დაკონკრეტდეს აღნიშნული საფუძველი, რათა ადგილი არ ჰქონდეს პირთა უფლებების დაუსაბუთებელ შეზღუდვას და აღსრულებულ იქნას კანონის უზენაესობა.

### 2.1.6. ძებნილი პირის დაკავება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ. შესაბამისად, ძებნა, შესაძლოა, გამოცხადდეს როგორც ბრალდებულზე, ასევე მსჯავრდებულზე. ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდგომ, თუ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი აღმოაჩენს იმ პიროვნებას, რომლის მიმართაც გამოტანილია ზემოაღნიშნული დადგენილება, მას უფლება აქვს მოახდინოს პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე. ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანის საფუძველს, შესაძლოა, წარმოადგენდეს პირის მიერ საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში გამოუცხადებლობა. ასევე, თუ ბრალდებული მიმალვაშია და არ ესწრება საქმის არსებით განხილვას და მას სასჯელის სახით დაუსწრებლად შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა, ასეთ დროსაც გამოცხადდება მსჯავრდებულის ძებნა.

აღნიშნულ საფუძველთან დაკავშირებით, პრაქტიკაში, უფრო მეტად გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც კონკრეტული პირი ჩაიდენს დანაშაულს და შემდეგ ემალება გამოძიებას, არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოში თუ სასამართლოში. ასეთ დროს, გამოძიების მიერ თუ იქნება შეკრებილი იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, მის მიმართ იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა. სსსკ-ის 45-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ იგი თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას. შესაბამისად, ასეთ დროს კანონმდებლობა ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას. მართლაც, პრაქტიკიდან გამომდინარე, პირს, რომელიც ემალება გამოძიებას, ენიშნება სახაზინო ადვოკატი, რომელსაც გამოყოფს იურიდიული დახმარების სამსახური. სწორედ აღნიშნულ ადვოკატს გადაეცემა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ასევე, გადაეცემა საქმის მასალები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სხდომის გამართვამდე. აღნიშნულის შემდეგ, იმართება ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა, რა დროსაც მოსამარ-

<sup>57</sup> ნიქარიშვილი კ. (მთარგ.), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ., 2002, 260.

თლე მსჯელობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე. თუ ბრალდებული კვლავ არ გამოცხადდება სასამართლოში, მოსამართლე მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეურჩევს პატიმრობას, რის შემდგომაც პროკურორის დადგენილებით აღნიშნულ პირზე ცხადდება ძებნა და შესაბამისი მიმართვის წერილით დადგენილება გადაეცემა ძებნის სამსახურს.<sup>58</sup>

მართლაც, საგამოძიებო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა არსებობს ბრალდებულის მიმალვისა, რის გამოც აუცილებელი ხდება მასზე ძებნის გამოცხადება. ამასთან, გარდაუვალია აღნიშნულის პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინების თანახმად, „ბრალდებულმა ყაჩაღობის სავარაუდო ჩადენიდან მეორე დღესვე დატოვა საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია, რასაც ადასტურებს ბრალდებულის მამის ჩვენება. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში, დასაბუთებული ვარაუდის მაღალი სტანდარტით ადასტურებენ ბრალდებულის მხრიდან მიმალვის საფრთხეს.“<sup>59</sup> შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნა პატიმრობა, ხოლო პროკურორმა გამოიტანა დადგენილება ძებნის გამოცხადების შესახებ. აღსანიშნავია, რომ როდესაც მოხდება პირის დაკავება, დაკავების საფუძველში სწორედ განსახილველი საფუძველი უნდა იქნეს მითითებული. ამასთან, პირის ძებნის ვადა განუსაზღვრელია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

ასევე, საილუსტრაციოდ საინტერესოა საგამოძიებო პრაქტიკიდან ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვა. პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც 20 ლარის გამო პირის მიმართ ჯერ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო შემდეგ მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა და პროკურორის დადგენილებით მასზე გამოცხადდა ძებნა, რადგან ბრალდებული თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში გამოცხადებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებულმა ბენზინგასამართ „სოკარ“-ის ტერიტორიაზე ამავე სადგური თანამშრომელს მოტყუებით ჩაასხმევინა 20 ლარის ღირებულების საწვავი და საფასურის გადახდის გარეშე დატოვა ტერიტორია. მას შემდეგ, რაც პროკურორმა გამოიტანა დადგენილება აღნიშნული პირის ძებნის შესახებ, ხსენებული პირი რამდენიმე დღეში დაკავებულ იქნა სამართალდამცავების მიერ და რა თქმა უნდა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, პირის დაკავების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ იგი იყო ძებნილი.<sup>60</sup> აღნიშნულის შემდეგ, პროკურორმა მიმართა სასამართლოს, რათა მას ძალაში დაეტოვებინა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის განჩინებით, აღნიშნული პირის მიმართ შეიცვალა აღკვეთის ღონისძიება და მას შეეფარდა გირაო 3 000 ლარის ოდენობით.<sup>61</sup>

აღნიშნული მაგალითის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად დანაშაულის კატეგორიისა და ხასიათისა, ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სავსებით რეალისტურია, პირის მიმართ აღკვეთის ღო-

<sup>58</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინება საქმეზე № 10ა/4053-16.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> სისხლის სამართლის № 001090515001 საქმე, 2015 წლის 21 მაისის ბრალდებულის დაკავების ოქმი.

<sup>61</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე № 10ა/2275-15.

ნისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, მასზე ძებნის გამოცხადება, ხოლო შემდეგ აღნიშნულ ქვეთავში განსახილველი საფუძვლით გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში მისი დაკავება.

## **2.2. პირის დაკავება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის დროს**

2018 წლის 20 ივლისს მიღებული კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი შეიცვალა, კერძოდ, პირველ ნაწილს დაემატა სიტყვები: „ან თუ განიხილება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვის საკითხი“, ასევე, მეორე ნაწილში არასანქცირებულ დაკავებას დაემატა ახალი საფუძველი: „ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი“.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონი („სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“) მიღებულ იქნა 2010 წლის 21 ივლისს, ხოლო ამოქმედებულ იქნა ამავე წლის 1 ოქტომბრიდან. შესაბამისად, ჩნდება გონივრული კითხვა, თუ რატომ განხორციელდა 2018 წელს აღნიშნული ცვლილება? ამის მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2018 წლის 20 ივლისს მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც განაპირობა საპროცესო კოდექსშიც შესაბამისი ცვლილებების შეტანა. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ახალი რეგულაციები დაადგინა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა „ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმთან“ და ევროპულ კონვენციასთან „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ: უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა; უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის მიზნით დროებითი დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობა; უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირი საერთაშორისო დონეზე იძებნება. აქედან გამომდინარე, აღნიშნულთაგან რომელიმე საფუძვლით პირის დაკავების შემთხვევაში, დაკავების ოქმში აღინიშნება სწორედ განსახილველ ქვეთავში მითითებული საფუძველი. აქვე, ზემოხსენებულ ცვლილებებამდე, საერთაშორისო დონეზე ძებნილი პირის დაკავების შემთხვევაში, დაკავების საფუძვლად უთითებდნენ წინა ქვეთავში განხილულ საფუძველს – „პირი ძებნილია“, თუმცა ცვლილებების შემდგომ, როგორც აღინიშნა, სწორედ განსახილველ ქვეთავში მითითებული საფუძვლით მოხდება პირის დაკავება.

ვინაიდან „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განისაზღვრება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგა-

ნოების მიერ ძებნილ პირთა დაკავების საფუძვლები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილს ემატება შესაბამისი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლითაც სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების შესაძლებლობად მიიჩნევა ასევე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.<sup>62</sup> უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს დამკავებელი ორგანოს საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმარტაციულ შესაბამის პროკურორს, რომელიც პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.<sup>63</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც პირის მიმართ საერთაშორისო მასშტაბითაა ძებნა გამოცხადებული, სწორედ ზემოთ განსახილველი საფუძვლით უნდა მოხდეს მისი დაკავება.

### 3. დასკვნა

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე კვლავ ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, გაუმჯობესებული იქნას როგორც ნორმატიულ დონეზე არსებული საკანონმდებლო რეგლამენტირება, ასევე, საგამოძიებო/სასამართლო პრაქტიკა, რათა აღნიშნულმა ხელი შეუწყოს პირთა უფლებების განუხრელ დაცვას და თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური დაკავების შემთხვევები. თავის მხრივ, აღნიშნული შედეგის მიღწევა აარიდებს სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე პასუხისმგებლობას, მათ შორის, უპირველესად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ამისათვის, აუცილებელია მიღწეულ იქნას ბალანსი სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და პიროვნების თავისუფლების უფლების დაცვას შორის, რაც პირდაპირ კავშირშია დაკავების საგამონაკლისო ბუნებასთან და მის *Ultima Ratio* ხასიათთან.

მართლაც, საგამოძიებო და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა ნათელი გახადა, თუ რაოდენ არაერთგვაროვანია სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა და თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მათ სწორხაზოვნად განვითარებას. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია დაკავების საკანონმდებლო რეგულირების სწორად გამოყენება და ნორმის მიზნიდან გამომდინარე განმარტება, რათა ადამიანის უფლებები განუხრელად იქნეს დაცული და უსაფუძვლო არასანქცირებული დაკავებები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კი აუცილებელია, რომ დაკავების თითოეულ ფორმალურ საფუძველს რეალურად ამყარებდეს კონკრეტული გარემოებები და შაბლონური დასაბუთება ნორმატიულ დონეზე იქნეს უარყოფილი.

<sup>62</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2018, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/181659?>> [22.05.2021].

<sup>63</sup> ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რეკომენდაცია დაკავების ოქმის შედგენის შესახებ, თბ., 2020, 4.

**ბიბლიოგრაფია:**

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 16/11/1999.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, № 3157, 20/07/2018.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 13/08/1999.
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სსმ, 31, 03/11/2009.
6. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, 2018, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/181659>> [22.05.2021].
7. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რეკომენდაცია დაკავების ოქმის შედგენის შესახებ, თბ., 2020, 4.
8. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბ., 2016, 16.
9. ვინგარტი კ. (რედ.), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 1993, 40.
10. მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2015, 92.
11. მიერი ე., ჰანკოკი ბ., კოუდერი ნ. (რედ.), ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისათვის, თბ., 2008, 68.
12. ნაცვლიშვილი ა., ადამიანის უფლებები დაკავების დროს და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2017, 13-14.
13. ნიქარიშვილი კ. (მთარგ.), ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბ., 2002, 260.
14. ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კორკელია კ. (რედ.), თბ., 2010, 176.
15. ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 503-510.
16. ფაფიაშვილი ლ. (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, თბ., 2017, 213.
17. ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბ., 2010, 47.
18. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის განჩინება, <[https://court.ge/courts/baTumis\\_saqalaqo\\_sasamarTlo/?page=25&id=695](https://court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=695)> [29.05.2021].
19. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განჩინება, <[https://court.ge/courts/baTumis\\_saqalaqo\\_sasamarTlo/?page=25&id=696](https://court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=696)> [29.05.2021].
20. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა/1686.
21. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის განჩინება საქმეზე № 10დ/163.
22. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 10დ/5660.
23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 1გ/1722-16.
24. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № 10დ/4666.
25. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № 10ა/4432-16.

26. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინება საქმეზე № 10ა/4053-16.
27. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე № 10ა/3393.
28. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე № 10ა/3229.
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის № 2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები თემურ ჯანაშია და გიორგი ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
30. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა-1621-15.
31. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე № 10ა/2275-15.
32. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 თებერვლის განჩინება საქმეზე № 10ა/536.
33. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 10ა/7319.
34. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე № 10ა/2848.
35. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე № 10ა/5899.
36. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის № 1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
37. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის № 1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
38. სისხლის სამართლის № 001060417001 საქმე, 2017 წლის 6 აპრილის ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.
39. სისხლის სამართლის № 001040816006 საქმე, 2016 წლის 4 აგვისტოს პირადი ჩხრეკის ოქმი.
40. სისხლის სამართლის № 001040816006 საქმე, 2016 წლის 4 აგვისტოს ბრალდებულის დაკავების ოქმი.
41. სისხლის სამართლის № 001010716009 საქმე, 2016 წლის 1 ივლისის ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.
42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის № 646 საოქმო ჩანაწერი.
43. სისხლის სამართლის № 001090515001 საქმე, 2015 წლის 21 მაისის ბრალდებულის დაკავების ოქმი.
44. სისხლის სამართლის № 001080415001 საქმე, 2015 წლის 8 აპრილის დაკავების ოქმი.
45. სისხლის სამართლის № 001211214001 საქმე, 2014 წლის 21 დეკემბრის ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი.
46. *United Nations, Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers*, New York, Geneva, 2003, 161.
47. *Brogan v. the United Kingdom*, [1988] ECtHR, 11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85.
48. *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, [1990], ECtHR, 12244/86, 12245/86, 12383/86.
49. *Lukanov v. Bulgaria*, [1996], ECtHR, 21915/93.
50. *Letellier v. France*, [1991], ECtHR, 12369/86.
51. *Murray v. the United Kingdom*, [1996], ECtHR, 41/1994/488/570.
52. *Matznetter v. Austria*, [1969], ECtHR, 2178/64.
53. *Steel and others v the United Kingdom*, [1998] ECtHR, 67/1997/851/1058.